შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი

სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის 2021-2030 წწ. სახელმწიფო სტრატეგიის 2023-2024 წწ. სამოქმედო გეგმის პროექტი

საჯარო კონსულტაციების შემაჯამებელი ანგარიში

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ხელმძღვანელობითა და კოორდინაციით, 2021-2030 წლების სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის 2023-2024 წწ. სამოქმედო გეგმის პროექტის შემუშავების პროცესი, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის №629 დადგენილებით დამტკიცებული „პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესის“ შესაბამისად წარიმართა.

სახელმწიფო მინისტრის აპარატმა უზრუნველყო დოკუმენტების მომზადების პროცესში საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის, სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სამთავრობო კომისიის (შემდგომში კომისია) წევრების, დარგობრივი სახელმწიფო უწყებების, სამოქალაქო სექტორის, სახალხო დამცველის აპარატისა და მასთან არსებული ეროვნულ უმცირესობათა საბჭოს, ექსპერტების, ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენლების, თემით დაინტერესებული საერთაშორისო პარტნიორების აქტიური ჩართულობა.

2023-2024 წწ. სამოქმედო გეგმის **შემუშავება წარიმართა სამ ეტაპად** ინკლუზიურობის პრინციპის დაცვით.

სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში ფართო საზოგადოებრივი ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით კონსულტაციები და წინადადებების წარდგენა ნებისმიერი დაინტერესებული აქტორის მხრიდან დაიწყო **2022 წლის აპრილში.** საჯარო კონსულტაციების **დაწყების თარიღია 2022 წლის 14 აპრილი, დასრულების თარიღია - 2023 წლის 16 მარტი.**

საჯარო კონსულტაციების **პირველ ეტაპზე** (2022 წლის 14 აპრილი - 2022 წლის ოქტომბერი) გაიმართა შეხვედრები 2021-2022 წლების სამოქმედო გეგმის ფარგლებში განხორციელებული აქტივობების შედეგების ანალიზისა და არსებული საჭიროებების იდენტიფიცირების მიზნით. გაიმართა შეხვედრები ქ. თბილისსა და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით მჭიდროდ დასახლებული რეგიონების (სამცხე-ჯავახეთი, ქვემო ქართლი, კახეთი) სოფლებში მოსახლეობასთან და სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებთან (მასწავლებლები, ახალგაზრდები, ქალები, მედიის წარმომადგენლები, საჯარო მოხელეები).

საჯარო კონსულტაციების **მეორე ეტაპზე** (2022 წლის 7 სექტემბერი - 2023 წლის 16 მარტი) სამოქმედო გეგმის პროექტის განხილვის მიზნით გაიმართა შეხვედრები სამოქალაქო

სექტორთან, დარგობრივ ექსპერტებთან, საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან.

პროცესის დასკვნით **მესამე ეტაპზე** (2023 წლის იანვარი-22 მარტი), სამთავრობო კომისიის წევრებთან და საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის პოლიტიკის დაგეგმვისა და სამთავრობო კოორდინაციის დეპარტამენტთან მიმდინარეობდა კონსულტაციები სამოქმედო გეგმის დოკუმენტის ხარისხის უზრუნველყოფის ინსტრუმენტების მეთოდოლოგიურ და ტექნიკურ კრიტერიუმებთან დაკავშირებით. ასევე, გაიმართა სამთავრობო კომისიის სხდომა დოკუმენტის პროექტის შეთანხმების მიზნით, რის შემდგომაც დოკუმენტი დასამტკიცებლად წარედგინა საქართველოს მთავრობას.

შეხვედრების დრო, ფორმატი და რაოდენობა

დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციები გაიმართა არაერთი სამუშაო შეხვედრის ფორმატში. **საჯარო კონსულტაციების პირველი ფაზის ფარგლებში** შეხვედრები სახელმწიფო მინისტრის უშუალო ჩართულობით ინტენსიურ რეჟიმში წარიმართა როგორც ქ. თბილისში, ასევე ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში (ქვემო ქართლი, სამცხე-ჯავახეთი, კახეთი). შეხვედრები ტარდებოდა სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის პოლიტიკის ფარგლებში გატარებული ღონისძიებების შედეგების გაზიარებისა და ახალი შესაძლებლობების გაცნობის, ასევე ადგილზე არსებული კონკრეტული საჭიროებების შესახებ დეტალური ინფორმაციის მიღებისა ან/და დაუყოვნებელი რეაგირების ან/და შესაბამის სტრატეგიულ დოკუმენტებში სათანადო ნაბიჯების ასახვის მიზნით, კერძოდ:

- **2022 წლის 14 აპრილს** ქ. თბილისში გაიმართა შეხვედრა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ სტუდენტებთან (30 ბენეფიციარი);
- **2022 წლის 7-8 ივნისს** ქვემო ქართლის რეგიონში გაიმართა შეხვედრები გარდაბნის, მარნეულის, ბოლნისის, დმანისის მუნიციპალიტეტების (სოფლები: ნაზარლო, ქესალო, ვახტანგისი, სადახლო, შულავერი, იმირი, ჭაპალა, ნახიდური, ტალავერი, ზემო ოროზმანი, ქვემო ოროზმანი, მთისძირი) მოსახლეობასთან (ჯამში 600-მდე ადგილობრივი მოსახლე). ასევე, შეხვედრა გაიმართა ქ. მარნეულში „ქალთა ოთახისა“ და ქალთა საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან (25 ბენეფიციარი);
- **2022 წლის 9 ივნისს** შეხვედრები გაიმართა კახეთის რეგიონის ახმეტის მუნიციპალიტეტის (სოფლები: ჯოყოლო, დუმასტური) სოფლების მოსახლეობასთან (200-მდე ადგილობრივი მოსახლე);
- **2022 წლის 9 ივნისს** შეხვედრა გაიმართა ახმეტის „ქალთა ოთახის“ წარმომადგენლებთან (30 ბენეფიციარი);
- **2022 წლის ივნისსა და ოქტომბერში** სახელმწიფო მინისტრის აპარატის ინიციატივითა და კოორდინაციით, ქვემო ქართლის რეგიონში ინტენსიურ რეჟიმში წარიმართა ორენოვანი კამპანია სახელმწიფო პროგრამებისა და სერვისების შესახებ,

რომლის ფარგლებში ამავდროულად განხორციელდა მოსახლეობის საჭიროებების იდენტიფიცირება (40 შეხვედრა, 1500-მდე ბენეფიციარი);

- **2022 წლის** განმავლობაში გაიმართა რიგი შეხვედრები ეთნიკური უმცირესობების საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებთან, ასევე შეხვედრების ციკლი ე.წ. „1+4 საგანმანათლებლო პროგრამით“ და ეროვნული გამოცდებით უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხულ, არაქართულენოვანი სკოლების კურსდამთავრებულ სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებთან, შეხვედრები ქვემო ქართლის რეგიონის საჯარო სკოლების უფროსი კლასის მოსწავლეებთან და პედაგოგებთან;
- **2022 წლის ივნისში, სექტემბერსა ოქტომბერში,** დამატებით **ნოემბერსა და დეკემბერში** სახელმწიფო მინისტრის აპარატმა, სსიპ ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრთან თანამშრომლობით, საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხებზე გამართა 4 კულტურულ-საგანმანათლებლო სემინარი. სემინარებზე, რომელშიც ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებული სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლისა და კახეთის რეგიონებიდან 60 მასწავლებელი და 60 ახალგაზრდა მონაწილეობდა, მსჯელობა შეეხო სამცხე-ჯავახეთის, კახეთისა და ქვემო ქართლის რეგიონებში მიმდინარე ანტიდასავლური პროპაგანდისა და დეზინფორმაციის დაძლევის მიზნით გასატარებელ აუცილებელ ღონისძიებებს;
- **2022 წლის 18 ივლისს** ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში მომუშავე ადგილობრივი მედია-საშუალებების წარმომადგენლების მონაწილეობით (30 ბენეფიციარი) იმსჯელეს მედიასა და ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის კუთხით არსებულ გამოწვევებზე და იმ აუცილებელ ღონისძიებებზე, რომელიც მიზანშეწონილია განისაზღვროს 2023-2024 წწ. სამოქმედო გეგმის დოკუმენტში;

საჯარო კონსულტაციების მეორე ეტაპი (2022 წლის 7 სექტემბერი - 2023 წლის 28 თებერვალი) წარმომადგენლობითი და ინტერაქტიული იყო. გაიმართა შემდეგი სამუშაო შეხვედრები:

- **2022 წლის 7 სექტემბერს** ქ. თბილისში სახელმწიფო მინისტრის აპარატის ხელმძღვანელობით სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სამთავრობო კომისიის სხდომა გაიმართა (20 ბენეფიციარი);
- **2022 წლის 8 სექტემბერს** გამართულ შეხვედრაში მონაწილეობდნენ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის, მასთან არსებული ეროვნულ უმცირესობათა საბჭოს, სამოქალაქო ინტეგრაციის თემაზე მომუშავე არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები (25 ბენეფიციარი).
- **2022 წლის 16 ნოემბერს** გაიმართა შეხვედრა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ ახალგაზრდებთან, რომელსაც ასევე ესწრებოდნენ სხვადასხვა სფეროს წარმომადგენელი საპატიო სტუმრები (30 ბენეფიციარი);
- **2022 წლის 17 ნოემბერს** გაიმართა სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სამთავრობო კომისიის თემატური ჯგუფის - „კულტურათაშორისი დიალოგის მხარდაჭერა“ შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობდნენ სამთავრობო კომისიის წევრი შესაბამისი უწყებების, ასევე კულტურის საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების, მათ შორის სახალხო დამცველის აპარატთან არსებული ეროვნულ უმცირესობათა საბჭოს წარმომადგენლები (58 ბენეფიციარი); შეხვედრაზე იმსჯელეს 2023-2024 წწ. სამოქმედო გეგმაში შესატან იმ აუცილებელ ღონისძიებებსა და აქტივობებზე, რომელთა ეფექტიანმა განხორციელებამ

გრძელვადიან პერსპექტივაში ხელი უნდა შეუწყოს სტრატეგიული პრიორიტეტის „კულტურათაშორისი დიალოგის მხარდაჭერის“ ფარგლებში დასახული მიზნების მიღწევას;

- **2023 წლის 16 თებერვალს სამოქმედო გეგმის პროექტი** ფართო საზოგადოებისთვის გაზიარებისა და მისი განხილვის მიზნით **გამოქვეყნდა შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ოფიციალურ ვებ-გვერდზე** (www.smr.gov.ge) და **სოციალურ ქსელში.** წინადადებებისა და მოსაზრებების მიღების ბოლო ვადად 2023 წლის 24 თებერვალი განისაზღვრა;
- სამოქმედო გეგმის პროექტი ელექტრონული ფოსტის მეშვეობით გადაეგზავნა სახალხო დამცველთან არსებულ ეროვნულ უმცირესობათა საბჭოსა და საკითხზე მომუშავე სხვა არასამთავრობო, საერთაშორისო ორგანიზაციებს;
- **2023 წლის 27 თებერვალს** გაიმართა შეხვედრა სამოქმედო გეგმის შემუშავებასა და შემდგომ იმპლემენტაციაში ჩართული სახელმწიფო უწყებების, ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებული რეგიონების ადგილობრივი მმართველობის ორგანოების, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების, მათ შორის ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების ჩართულობით (75 მონაწილე). შეხვედრის მიზანს სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან სამოქმედო გეგმის პროექტის დეტალური გაცნობა და თემატური მიმართულებებით კითხვების, მოსაზრებებისა და რეკომენდაციების მიღება წარმოადგენდა. კიდევ უფრო ფართე ჩართულობის უზრუნველსაყოფად სახელმწიფო მინისტრის ინიციატივით, წინადადებებისა და რეკომენდაციების წარმოდგენის ვადა 2023 წლის 6 მარტამდე გახანგრძლივდა;
- **2023 წლის 28 თებერვალს** გაიმართა შეხვედრა ქ. ახალციხეში სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტურ ორგანიზაციებთან (100-მდე ბენეფიციარი);
- **2023 წლის 28 თებერვალს** გაიმართა შეხვედრა ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ წყრუთის მოსახლეობასთან და ადგილობრივი (რეგიონის) სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებთან (20 მონაწილე);
- **2023 წლის 1-2 მარტს** სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ ჩატარებული ტრენინგ-სემინარის ფარგლებში იმსჯელეს ქალთა გაძლიერების მიზნით დამატებითი ღონისძიებების გატარების აუცილებლობაზე. სემინარში ქვემო ქართლის, სამცხე-ჯავახეთისა და კახეთის რეგიონში მცხოვრები ქალები მონაწილეობდნენ (32 ბენეფიციარი);
- **2023 წლის 6 მარტს** გაიმართა სამუშაო შეხვედრა სახალხო დამცველთან არსებულ ეროვნულ უმცირესობათა საბჭოს კოორდინატორებთან, რომლებმაც წარმოადგინეს წინადადებისა და რეკომენდაციების პირველადი სამუშაო ვერსია. შეხვედრის განმავლობაში დეტალურად იქნა განხილული თითოეული წარმოდგენილი მოსაზრება;
- **2023 წლის 16 მარტს** გაიმართა შემაჯამებელი სამუშაო შეხვედრა სახალხო დამცველის აპარატის, მასთან არსებული ეროვნულ უმცირესობათა საბჭოს, სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლების, ექსპერტებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მონაწილეობით (70 მონაწილე).

საჯარო კონსულტაციების დასკვნითი მესამე ეტაპის (2023 წლის 1 მარტი - 2023 წლის 22 მარტი) ფარგლებში გაიმართა შემაჯამებელი შეხვედრები ადგილობრივი თვითმმართველობების, არასამთავრობო ორგანიზაციების, ექსპერტების მონაწილეობით. კერძოდ:

- **2023 წლის 2 მარტს** გაიმართა შეხვედრა ქვემო ქართლის, სამცხე-ჯავახეთისა და კახეთის რეგიონების გუბერნატორებთან და ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებული მუნიციპალიტეტების მერებთან (31 მონაწილე);
- **2023 წლის 20 მარტს** - სამოქმედო გეგმის დოკუმენტის საბოლოო ვერსია წარედგინა საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციას „პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესებთან" შესაბამისობის დადგენის მიზნით;
- **2023 წლის 22 მარტს** გაიმართა სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სამთავრობო კომისიის სხდომა, რომელზეც მოწონებულ იქნა დოკუმენტი (36 პირი);

საერთო ჯამში სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში გაიმართა 75 საკონსულტაციო შეხვედრა, რომელშიც ჩართული იყო 3500-მდე ბენეფიციარი/პირი (ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების, ადგილობრივი მედიის წარმომადგენლები, ექსპერტები და თემით დაინტერესებული სხვა აქტორები).

სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის 2021-2030 წლების სახელმწიფო სტრატეგიის 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმის პროექტთან დაკავშირებით სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან წარმოდგენილი წინადადებები და რეკომენდაციები

სამოქმედო გეგმის მომზადების პროცესში წინადადებები და რეკომენდაციები მიღებულ იქნა, როგორც სახალხო დამცველის აპარატის, ასევე მასთან არსებული ეროვნულ უმცირესობათა საბჭოსა და თემაზე მომუშავე სხვა არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან, ჯამში 81 წინადადება, მათგან 55 რეკომენდაცია, დანარჩენი - მოსაზრებები და სურვილები. წარმოდგენილი რეკომენდაციები დეტალურად იქნა განხილული: უმეტესობა გათვალისწინებულ იქნა წინამდებარე დოკუმენტში, გარკვეული ნაწილი უკვე ასახული იყო სამოქმედო გეგმის სამუშაო ვერსიაში. ხოლო, რეკომენდაციების ნაწილის, ისევე, როგორც წარმოდგენილი მოსაზრებების/შეფასებების ასახვა ვერ მოხდა, რადგან არ იყო სამოქმედო გეგმის ფორმატთან/შინაარსთან შესაბამისობაში.

წარმოდგენილ რეკომენდაციათაგან:

- გათვალისწინებულია - 16 რეკომენდაცია (29.1%)
- ნაწილობრივ გათვალისწინებულია - 5 რეკომენდაცია (9.1%)
- არ არის გათვალისწინებული - 34 რეკომენდაცია (61.8%)

სტატუსი	**სტატუსის მინიჭების კრიტერიუმი**
გათვალისწინებულია	პარტნიორი ორგანიზაციის რეკომენდაცია/კომენტარი სტრატეგიაში ასახულია იმ ფორმით და შინაარსით, რომელიც პარტნიორმა ორგანიზაციამ წარმოადგინა

ნაწილობრივ გათვალისწინებულია	• პარტნიორი ორგანიზაციის რეკომენდაციის/კომენტარის საფუძველზე ან მისი გავლენით გარკვეული ცვლილებები შევიდა სტრატეგიის ტექსტში, თუმცა არა ზუსტად ისეთი ფორმულირებით, როგორსაც პარტნიორი ორგანიზაცია გვთავაზობდა. • პარტნიორი ორგანიზაციის რეკომენდაცია/კომენტარი სტრატეგიის ტექსტში არ ასახულა, თუმცა სამოქმედო გეგმაში იქნება გათვალისწინებული.
არ არის გათვალისწინებული	პარტნიორი ორგანიზაციის რეკომენდაციის/კომენტარის საფუძველზე სტრატეგიის ტექსტში (მათ შორის, არც ლოგიკურ ჩარჩოში და არც სამოქმედო გეგმაში) ცვლილება, ან შესწორება არ განხორციელებულა.



სამოქმედო გეგმის პროექტის სისტემური შეფასება/ზოგადი საკითხები
რეკომენდაცია 1 სამოქმედო გეგმა სტრატეგიული მიმართულებებით პოლიტიკის განვითარების კონკრეტულ ხედვებს არ შეიცავს და ეს გაუგებარს ხდის, თუ სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ სამუშაოებს რა კონკრეტული სოციალური ცვლილებები მოყვება.

სტატუსი: არ არის გათვალისწინებული
სამოქმედო გეგმის დოკუმენტი თავისი არსით არ ითვალისწინებს პოლიტიკის განვითარების კონკრეტული ხედვების ჩამოყალიბებას/განსაზღვრას. პოლიტიკის პრიორიტეტები, მიზნები ამოცანები და მათ მიღწევასთან დაკავშირებული ხედვები ჩამოყალიბებულია/განსაზღვრულია სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის დოკუმენტში.
სამოქმედო გეგმა წარმოადგენს იმ ქმედებათა ერთობლიობას, რომელთა განხორციელებაც ემსახურება დასახული ამოცანებისა და მიმართულებების მიღწევას.

რეკომენდაცია 2
გეგმა საუბრობს ქართული ენის შესწავლის მაჩვენებლების რადიკალურ მატებაზე, თუმცა განათლების სფეროში არსებულ სტრუქტურული ჩავარდნების გამოსწორების გზებზე მნიშვნელოვანს არაფერს ამბობს. საჭიროა განათლების სამინისტროში დამოუკიდებელი სტრუქტურული ერთეულის შექმნა და კურატორი მინისტრის მოადგილის დანიშვნა.

სტატუსი: არ არის გათვალისწინებული
რეკომენდაცია მიუღებელია ვინაიდან საკითხი გამჭოლად ეხება ყველა მიმართულებას: სკოლამდელსა და ზოგადს, პროფესიულს, უმაღლესს, ინფრასტრუქტურის სააგენტოს, ზრდასრულთა განათლებას (ჟვანიას სკოლა), მასწავლებლების პროფესიული განვითარების ცენტრს, მანდატურის სამსახურს, გამოცდებისა და შეფასების ეროვნულ ცენტრს.
სამინისტროს მიერ დასახული არც ერთი ამოცანა არ უვლის გვერდს ეთნიკურ უმცირესობებს. ყველა სტრუქტურული ქვედანაყოფი და სსიპ-ი მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში ითვალისწინებს აღნიშნულს. სამინისტრო არ განიხილავს აღნიშნული გეგმის ფარგლებში ახალი სტრუქტურული ერთეულის შექმნას (სცილდება სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის მიზნებს).

რეკომენდაცია 3
სამოქმედო გეგმა არაფერს ამბობს არა ერთ მნიშვნელოვან საკითხზე, რომელიც პოლიტიკურ და სოციალურ უფლებებს უკავშირდება და სამოქალაქო ორგანიზაციებისა და უმცირესობების თემების მიერ აქტიურად დგება დღის წესრიგში.

სტატუსი: არ არის გათვალისწინებული
სამოქმედო გეგმით განსაზღვრულია მთელი რიგი კონკრეტული ქმედებები, შესაბამისი ამოცანების ფარგლებში, რაც ორიენტირებულია ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების სამოქალაქო და პოლიტიკური ჩართულობის გაზრდა/გაუმჯობესებაზე, მათ შორის:

- ინფორმირება/ცნობიერების ამაღლება ადამიანის უფლებების, ანტიდისკრიმინაციის, სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის (აქტივობა: 1.1.1.10; 7.1.1.13; 7.1.1.14), საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის (აქტივობა: 7.1.1.4; 7.1.1.5) საკითხებზე, ასევე შესაბამისი მასალების მომზადება ეთნიკური უმცირესობების ენებზე და გავრცელება;
- საკანონმდებლო/ნორმატიულ აქტებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა (მაგ. აქტივობა 7.2.1.1);
- ქალების ცნობიერების ამაღლება გენდერული თანასწორობის, ქალთა უფლებების შესახებ (მაგ. აქტივობები: 7.1.1.3; 7.1.1.8);
- ეთნიკური უმცირესობების საარჩევნო უფლების შესახებ ცნობიერების ამაღლება და მათი ჩართულობის გაზრდა საარჩევნო პროცესში (მაგ. აქტივობები: 5.2.1.2-5.2.1.6);
- მედიასა და ინფორმაციაზე ეთნიკური უმცირესობების ენებზე წვდომის უზრუნველყოფა, კერძოდ, სატელევიზიო, ბეჭდვითი მედიის პროდუქციის მომზადება და მიწოდება (აქტივობები: 6.1.1.1- 6.1.1.3);
- კვლევის განხორციელება ეთნიკური უმცირესობების სამოქალაქო და პოლიტიკური ჩართულობის შესახებ (აქტივობა 7.1.1.12);

- ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის, ე.წ. „1+4 პროგრამის“ ბენეფიციართათვის, საჯარო სექტორში სტაჟირების პროგრამა, რომლის ფარგლებშიც იღებენ სათანადო გამოცდილებას და პროფესიულ უნარ-ჩვევებს, რაც ხელს უწყობს ახალგაზრდების ჩართულობასა და სამოქალაქო ინტეგრაციას.

რეკომენდაცია 4

ეთნიკური მარკერებით უწყებების მიერ სტატისტიკის წარმოების აუცილებლობა, რაც სერვისების მიწოდებისა და მონაწილეობის პროცესში ეთნიკური ნიშნით ასიმეტრიის გაზომვისა და პოზიტიური ინტერვენციების საფუძველია.

სტატუსი: არ არის გათვალისწინებული

ეთნიკურ ჭრილში სტატისტიკის შეგროვება და წარმოება ქვეყანაში მიმდინარეობს მხოლოდ მოსახლეობის საყოველთაო აღწერის ფარგლებში, რაც ითვალისწინებს აღნიშნული კვლევისთვის მომზადებულ კითხვარში პირის ეთნიკური კუთვნილების განსაზღვრას თვითიდენტიფიცირების საფუძველზე (რაც ნებაყოფლობითია). ცალკეული, კონკრეტული პროგრამებისა და პროექტების ფარგლებში კვლევები, რაც სრულყოფილი ინფორმაციის წარმოებას ვერ უზრუნველყოფს.

ინფორმაციის შეგროვებასა და წარმოებას ეთნიკურ ჭრილში არეგულირებს პერსონალურ მონაცემთა შესახებ კანონი.

საქართველოს კონსტიტუციითა და სხვა ნორმატიული აქტებით უზრუნველყოფილია საქართველოს მოქალაქეების თანაბარი და სრული წვდომა სახელმწიფო პროგრამებზე, სერვისებსა და სიკეთეებზე, განურჩევლად ეთნიკური კუთვნილებისა, რასაც სახელმწიფო სთავაზობს თავის მოქალაქეებს.

უმაღლესი განათლების მიმართულებით ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების სტატისტიკა იწარმოება შემდეგი პრინციპით: სტუდენტები, რომლებიც ერთიან ეროვნულ გამოცდებზე აბარებენ სომხურ, აზერბაიჯანულ, ოსურ და აფხაზურ ენაზე ერთ გამოცდას და წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში ირიცხებიან ქართული ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე.

რეკომენდაცია 5

სამოქმედო გეგმაში თითქმის ყველა აქტივობასთან კავშირში მითითებულია, რომ კონკრეტული აქტივობების შეუსრულებლობის მიზეზი ფინანსური რესურსების ნაკლებობა შეიძლება გახდეს. საბიუჯეტო რესურსების არარსებობას ასახელებს მთავრობა გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შეუსრულებლობის მიზეზად, რაც სრულად მიუღებელია.

(ა(ა)იპ სოციალური სამართლიანობის ცენტრი)

სტატუსი: გათვალისწინებულია

რეკომენდაცია 6

სამოქმედო გეგმაში არ არის გაწერილი სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის პოლიტიკის მართვის, კოორდინირებისა და კონსულტირების გაუმჯობესების საკითხები. მათ შორის, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის დაფინანსების გაზრდის, კონკრეტული მიმართულებებით აღმასრულებელი კომპეტენციების მინიჭების საკითხი.

სტატუსი: ნაწილობრივ გათვალისწინებულია სამოქმედო გეგმის დოკუმენტი მოიცავს სტრატეგიის განხორციელების, მონიტორინგისა და შეფასების ნაწილს, რომელშიც წარმოდგენილია სახელმწიფო მინისტრის აპარატის საქმიანობა/აქტივობები სტრატეგიის მართვასთან, კოორდინირებასა და კონსულტაციების წარმართვასთან დაკავშირებით.
რეკომენდაცია 7 გეგმა არაფერს ამბობს მთავრობის ადამიანის უფლებათა საბჭოს, ასევე სახელმწიფო მინისტრის აპარატთან და სხვა სახელმწიფო უწყებებთან რეგულარული და დემოკრატიული საკონსულტაციო პლატფორმების ფუნქციონირების საკითხზე, რომელიც ეთნიკური უმცირესობების ორგანიზაციებს, ასევე ამ თემაზე მომუშავე ორგანიზაციებსა და სახელმწიფო უწყებებს შორის რეალურ და ინტენსიურ დიალოგს შეუწყობდა ხელს.
სტატუსი: გათვალისწინებულია. აღნიშნული უკვე ასახულია სამოქმედო გეგმის არსებულ პროექტში სტრატეგიის განხორციელების, კოორდინაციის, კონსულტაციის, მონიტორინგისა და შეფასებების მოდალობები განსაზღვრულია სტრატეგიის დოკუმენტში, ასევე სამოქმედო გეგმის იმ ნაწილში, რომელშიც წარმოდგენილია მისი განხორციელების კონკრეტული მექანიზმების ფარგლებში დაგეგმილი საქმიანობა.
რეკომენდაცია 8 სამოქმედო გეგმის პირველადი პროექტის მომზადება სამოქალაქო ორგანიზაციებთან, ეთნიკური უმცირესობების ორგანიზაციებთან, სათემო ცენტრებთან და აქტივისტურ ჯგუფებთან წინასწარი კონსულტაციების გარეშე, მხოლოდ უწყებებთან კოორდინაციით მოხდა და ჩვენთვის ბუნდოვანია რა პროცესი და რეალური შესაძლებლობები რჩება გეგმაში აისახოს ჩვენს მიერ დაყენებული საჭიროებები, პრობლემები და ხედვები.
სტატუსი: არ არის გათვალისწინებული სამოქმედო გეგმის პროექტის მომზადების პროცესი იყო ღია, გამჭვირვალე და ინკლუზიური. სამოქმედო გეგმის დოკუმენტი დაეფუძნა წინა წლების სამოქმედო გეგმის განხორციელების ანგარიშში გამოვლენილ შედეგებს, ასევე ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში მოსახლეობის საჭიროებებს, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან და საერთაშორისო პარტნიორებთან კომუნიკაციის შედეგად მიღებულ უკუკავშირს. დეტალურად იხილეთ წარმოდგენილი დოკუმენტის შესავალ ნაწილში.
რეკომენდაცია 9 ყველა სფეროში მხოლოდ აქცენტირება ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებზე, ეთნიკურ სათემოებს შორის შიდა დისკრიმინაციას უწყობს ხელს. მნიშვნელოვანია ასევე მცირერიცხოვანი სათემოების ხელშეწყობა თბილისსა და რეგიონებში.
სტატუსი: არ არის გათვალისწინებული სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგია სამოქალაქო ინტეგრაციას განიხილავს როგორც დინამიურ, მრავალგანზომილებიან და მრავალმხრივ პროცესსა და მოითხოვს საზოგადოების თითოეული წევრის, როგორც ეთნიკური უმცირესობების, ისე უმრავლესობის წარმომადგენელთა მხრიდან, საინტეგრაციო პროცესებში სრულფასოვან მონაწილეობას, სათანადო მოტივაციასა და ძალისხმევას, ასევე პასუხისმგებლობების გაზიარებას. შესაბამისად, სტრატეგიის სამიზნედ განიხილება, როგორც ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი მოქალაქეები, ასევე უმრავლესობის

წარმომადგენლები. აღნიშნული მიდგომა სრულად არის გათვალისწინებული წარმოდგენილი სამოქმედო გეგმის დოკუმენტში. მასში წარმოდგენილი აქტივობები მიმართულია, როგორც ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების, ისე უმრავლესობის ჩართულობის უზრუნველყოფისკენ და კულტურათაშორისი დიალოგის განმტკიცებისკენ.
რეკომენდაცია 10 ინდიკატორი, სადაც მხოლოდ რაოდენობრივი მაჩვენებელია მოცემული ნაკლებად ასახავს ეთნიკურ/რელიგიურ უმცირესობათა ჩართულობისა და ინტეგრაციის ხარისხს სხვადასხვა სფეროში.
სტატუსი: არ არის გათვალისწინებული დოკუმენტში წარმოდგენილია შესაბამისი (აქტივობის შინაარსის/სპეციფიკიდან გამომდინარე) რაოდენობრივი და/ან ხარისხობრივი ინდიკატორები.
რეკომენდაცია 11 კვლევები მნიშვნელოვან საკითხებს ეხება და სასურველია, რომ ხელმისაწვდომი იყოს დაინტერესებული პირებისთვის. გეგმა სხვადასხვა თავებში ითვალისწინებს სხვადასხვა თემატურ კვლევასა და მონიტორინგს. აღნიშნული კვლევები იქნება საჯარო თუ შიდა უწყებრივი მოხმარებისთვის არის განკუთვნილი?
სტატუსი: გათვალისწინებულია გეგმით განსაზღვრული კვლევების შედეგები ხელმისაწვდომი იქნება ყველა დაინტერესებული პირისთვის.
პრიორიტეტი 1. სახელმწიფო ენა ინტეგრაციის მხარდასაჭერად
რეკომენდაცია 12 ამოცანა 1.1. არის საკმაოდ ამბიციური და მნიშვნელოვანი, თუმცა იმ ფონზე, როდესაც განათლების მიმართულებით რეფორმის თანმიმდევრული და გაზომვადი პროცესი სამოქმედო გეგმაში არ იკითხება, ის რთულად მიღწევადი გვეჩვენება. - სომხურენოვან და აზერბაიჯანულენოვან სკოლებში მასწავლებლების საკმარისი რაოდენობა არ არის; - მასწავლებელთა დიდი ნაწილი საპენსიო ასაკს არის მიღწეული; - ქართული ენის მასწავლებლების რაოდენობა დაბალია; - არ არის ბილინგვური განათლებისთვის საჭირო პროგრამები, სახელმძღვანელოები და ინფრასტრუქტურა მასობრივად დანერგილი და არსებული პილოტური გამოცდილებების შედეგებიც მწირია.

სტატუსი: არ არის გათვალისწინებული სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ამოცანები ამბიციურია და დაკავშირებულია გარკვეულ რისკებთან. თუმცა მაღალი რისკის გამო არ ვთლით საჭიროდ მოცულობის შემცირებას.
რეკომენდაცია 13 დაემატოს აქტივობა: ე.წ. შერეული ოჯახების იმ წევრებისთვის, რომლებიც არ არიან საქართველოს მოქალაქეები და არ ფლობენ ქართულ ენას, მათ შორის, საქართველოს მოქალაქეობის მიღების მიზნით, სახელმწიფო ენის გამოცდაზე ორიენტირებული, ქართული ენის შემსწავლელი უფასო კურსების განხორციელება. (მიზანი 1, ამოცანა 1.2.)
სტატუსი: არ არის გათვალისწინებული სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს აღნიშნულს. ქართული ენის სასერტიფიკატო პროგრამის არეალის გაფართოება (ყველა ავტორიზებულ საგანმანათლებლო დაწესებულებას აქვს შესაძლებლობა განახორციელოს პროგრამა) უზრუნველყოფს აღნიშნულს საქართველოში ნებისმიერი სტატუსით მყოფი და ნებისმიერი ასაკის პირებისთვის, ვისაც ექნება ქართული ენის შესწავლის საჭიროება, მათ შორის ქართული ენის შემსწავლელი კურსი აკმაყოფილებს მოქალაქეობის მიღების მიზნით ქართული ენის გამოცდის მოთხოვნებს.
რეკომენდაცია 14 აქტივობა 1.2.1.4 - ბოლნისის მუნიციპალიტეტის ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ სოფლებში 16-დან 30 წლამდე ახალგაზრდებისათვის ქართული ენის შემსწავლელი კურსების განხორციელება. **რეკომენდაცია:** სამოქმედო გეგმის მიხედვით, ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ მუნიციპალიტეტში დაგეგმილი პოზიტიური აქტივობები (მაგალითად აქტივობა 1.2.1.4.) განხორციელდეს ანალოგიური საჭიროებების მქონე სხვა მუნიციპალიტეტებში.
სტატუსი: გათვალისწინებულია. აღნიშნული ასახულია სამოქმედო გეგმის პროექტში.
პრიორიტეტი 2. ხარისხიან განათლებაზე ხელმისაწვდომობა
რეკომენდაცია 15 სამოქმედო გეგმა ისევ არ ავალდებულებს განათლების სამინისტროს შეიმუშავოს ეთნიკური უმცირესობების მიმართ განათლების ხელმისაწვდომობის ერთიანი სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, რომელიც ერთის მხრივ, არსებული მრავალრიცხოვანი კვლევების მიგნებებსა და რეკომენდაციებს, მეორეს მხრივ, კი მასწავლებლებთან, მშობლებთან, მოსწავლეებთან, სამოქალაქო ორგანიზაციებთან დემოკრატიულ და ინკლუზიურ კონსულტაციებს დაეფუძნებოდა. განათლების სამინისტროში არ არსებობს სამსახური/ერთეული, რომელიც უმცირესობების პოლიტიკაზე სისტემურად მუშაობს. სამოქმედო გეგმაში გაიწეროს არაქართულენოვანი ბავშვებისა და ახალგაზრდების განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდის რეფორმების ხედვები და სპეციალური სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების ვალდებულება.

სტატუსი: არ არის გათვალისწინებული

განათლების სამინისტროში დამოუკიდებელი სტრუქტურული ერთეულის შექმნისა და 1 კურატორი მინისტრის მოადგილის გამოყოფის შესახებ რეკომენდაცია მიუღებელია, ვინაიდან საკითხი გამჭოლად ეხება ყველა მიმართულებას: სკოლამდელსა და ზოგადს, პროფესიულს, უმაღლეს, ინფრასტრუქტურის სააგენტოს, ჟვანიას სკოლას, მასწავლებლის სახლს, მანდატურის სამსახურს, გამოცდების ცენტრს.

სამინისტროს არც ერთი ამოცანა არ უვლის გვერდს უმცირესობებს. ყველა სტრუქტურული ქვედანაყოფი და სსიპ კომპეტენციის ფარგლებში ითვალისწინებს აღნიშნულს.

წინამდებარე სტრატეგია და „განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია 2022-2030“ საკმარისად ასახავს განათლებაზე ხელმისაწვდომობის საკითხებს.

რეკომენდაცია 16

სამოქმედო გეგმაში კახეთის რეგიონში მცხოვრები აზერბაიჯანელებისთვის განათლების ხელმისაწვდომობის ზრდის სპეციალური ვალდებულებები და აქტივობები გაიწეროს.

სტატუსი: არ არის გათვალისწინებული.

სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში ხარისხიან განათლებაზე ხელმისაწვდომობის ზრდას ერთიანი მიდგომით.

რეკომენდაცია 17

გეგმაში არ ჩანს, თუ კონკრეტულად რომელ სოფლებში დაიგეგმება საბავშვო ბაღების მშენებლობა. ბუნდოვანია რატომ მსჯელობს გეგმა ირგანჩაის და ამამლოს სკოლებში სასკოლო მზაობის ჯგუფების შექმნაზე მაშინ, როცა ამ სოფლებში სკოლამდელი დაწესებულებების მშენებლობა დაანონსდა.

სტატუსი: არ არის გათვალისწინებული

საქართველოს მთავრობის ინიციატივით სკოლამდელი დაწესებულებების მშენებლობა დაგეგმილია ამამლოსა და ირგანჩაიში, თუმცა კონკრეტული თარიღი არ არის მითითებული. აქედან გამომდინარე, მოსახლეობის დიდი მოთხოვნის გამო ამამლოში იგეგმება სკოლამდელი სასკოლო მზაობის ჯგუფის გახსნა, უკვე შერჩეულია ადგილი, ფართი, მიმდინარეობს თანამშრომლების შერჩევა, ამ ეტაპზე მსურველია 30 ბავშვი. თუმცა ამამლოს თემში 5 სოფელი შედის და ბავშვების რაოდენობა კიდევ გაიზრდება. სასკოლო მზაობის ჯგუფის შექმნა მიმდინარე წელს დიდი ალბათობით დასრულდება. ასევე, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაზე დიდი მოთხოვნაა სოფელ ირგანჩაიში, რომელიც ცენტრიდან დაშორებულია და სადაც 102 ბავშვს ესაჭიროება სკოლამდელი განათლების მიღება. ამასთანავე, სასკოლო მზაობის ჯგუფების გახსნა ნაკლებ ფინანსებს საჭიროებს, სწორედ ამიტომ იგეგმება ამ ტიპის ჯგუფების გახსნა, ახალი ბაღების აშენებამდე.

რეკომენდაცია 18

სამოქმედო გეგმა არაფერს ამბობს არაქართულენოვანი მასწავლებლების მომზადებასა და მათი კვალიფიკაციის ამაღლებაზე.

სერტიფიცირებული და კვალიფიციური მასწავლებლების რაოდენობაა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გამოწვევაა არაქართულენოვან სკოლებში.

სტატუსი: გათვალისწინებულია. აღნიშნული ასახულია სამოქმედო გეგმის პროექტში.
რეკომენდაცია 19 მისასალმებელია, რომ სამოქმედო გეგმაში მოხვდა არაქართულენოვანი სახელმძღვანელოების საქართველოში შექმნის საკითხიც, თუმცა მნიშვნელოვანია ფინანსური რესურსები კვლავ არ გახდეს ამ აქტივობების შეუსრულებლობის მიზეზი, როგორც ეს წინა წლებში იყო.
სტატუსი: არ არის გათვალისწინებული ყოვლად მიუღებელია. ფინანსური რესურსი არასდროს ყოფილა შემაფერხებელი. სახელმწიფოს ყველა მცდელობა იყო უშედეგო, შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადამიანური რესურსის არარსებობის გამო (როგორც აზერბაიჯანული, ასევე სომხური და რუსული მშობლიური ენის სახელმძღვანელოების შემქმნელები). განათლების სამინისტრო არის მზად განსხვავებული წესითაც დააფინანსოს, დამატებით გაუწიოს კონსულტირება, ოღონდაც გამოჩნდეს ვინმე სახელმძღვანელოს შემქმნელი.
რეკომენდაცია 20 „1+4 პროგრამის“ ეფექტიანობის გასაზრდელად, პროგრამის ფარგლებში არსებული ქართულ ენაში მოსამზადებელი კურსი სახელმწიფომ უნდა დაასუბსიდიროს და ქართული ენის სწავლებაში საქართველოს მოქალაქეებს ფულის გადახდა არ უნდა უწევდეთ. სამოქმედო გეგმაში არ ჩანს შესაბამისი მინიშნებები, რომ სახელმწიფო ამ კუთხით პოლიტიკის ცვლილებას გეგმავს. (ე.წ. "1+4 საგანმანათლებლო პროგრამის" ახალი კონცეფციის მომზადება და შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირება) მნიშვნელოვანი ცვლილებაა და არსებითია აღნიშნულის ინიცირება სამოქალაქო ორგანიზაციებთან და ახალგაზრდულ ჯგუფებთან აქტიური განხილვით მოხდეს.
სტატუსი: გათვალისწინებულია. ასახულია სამოქმედო გეგმის პროექტში. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში ეთნიკური უმცირესობებისათვის უმაღლეს განათლებაზე ხელმისაწვდომობისა და ქართულ ენაში მომზადების პროგრამის ეფექტურობის გაზრდის მიზნით, დაწყებულია მუშაობა პროგრამის მოდიფიცირების პროცესთან დაკავშირებით, რაც სამომავლოდ გულისხმობს ქართული ენისა და ლიტერატურის ცოდნის დონის ამაღლების/სწავლების პარალელურად, სასურველი უმაღლესი განათლების საგანმანათლებლო პროგრამის შეუფერხებლად დაძლევისთვის საჭირო რელევანტური საგნების (მათემატიკა, ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია, გეოგრაფია და ა.შ.) და დარგობრივი ტერმინოლოგიის ქართულ ენაზე სწავლებას. გარდა ამისა, სამინისტროში მიმდინარეობს მუშაობა უმაღლესი განათლების დაფინანსების ახალ მოდელზე, სადაც გათვალისწინებული იქნება ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დაფინანსება. შესაბამისად, აღნიშნული საკითხი სამოქმედო გეგმის აქტივობაში: „1+4 საგანმანათლებლო პროგრამის" ახალი კონცეფციის მომზადება და შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირება -ასახულია.

რეკომენდაცია 21 მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფომ, უმაღლეს სასწავლებლებთან თანამშრომლობით, შეიმუშავოს, ამ პროგრამებში დარგობრივ დონეზე ქართული ენის შესწავლის დამატებითი პროგრამები.
სტატუსი: გათვალისწინებულია. აღნიშნული ასახულია სამოქმედო გეგმის პროექტში. როგორც რეკომენდაციის 20 პასუხშია აღნიშნულია, ახალი კონცეფციის ფარგლებში დაწყებულია საკითხზე მუშაობა.
რეკომენდაცია 22 მნიშვნელოვანია გეგმაში გათვალისწინებული იყოს არაქართულენოვანი სკოლის მასწავლებლების ქართულენოვანი სკოლებში და პირიქით მოკლევადიანი გაცვლითი პროგრამები, რომელიც ინტეგრაციისა და გამოცდილებების მიღების მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი შეიძლება გახდეს.
სტატუსი: არ არის გათვალისწინებული აღნიშნული საკითხის განხილვა ჯერ არ არის ინიცირებული განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში. შესაბამისად, გეგმაში მისი ასახვა ვერ მოხდა.
რეკომენდაცია 23 არსებითია სახელმწიფომ შეიმუშავოს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი შშმ ბავშვების ზოგად განათლებაში ჩართვისა და დამხმარე სერვისებზე ხელმისაწვდომობის პროგრამები.
სტატუსი: არ არის გათვალისწინებული აქტივობა 4.1.1.1 ითვალისწინებს შშმ ბავშვების ზოგად განათლებაში ჩართვისა და დამხამარე სერვისებზე ხელმისაწვდომობის საკითხს.
რეკომენდაცია 24 3.2.1.5. მცირერიცხოვანი ეთნიკური უმცირესობებისთვის მშობლიური ენების სწავლება რეკომენდაცია: ხელი შეეწყოს მცირერიცხოვანი ეროვნული უმცირესობების ენების პედაგოგების მომზადებასა და სახელმძღვანელოების გამოცემას. -ქურთულ/ყურმანჯი ენაზე სწავლა არ დაწყებულა. ქურთულ თემთან თანამშრომლობით აღნიშნული პროგრამა ამოქმედდეს ქურთულ ენასთან მიმართებით.
სტატუსი: ნაწილობრივ გათვალისწინებულია მცირერიცხოვანი ეთნოსების მშობლიური ენების სწავლება ასახულია სამოქმედო გეგმის პროექტში. ქურთული (ყურმანჯი) ენის სწავლება ცალკე, როგორც აქტივობა არ არის წარმოდგენილი.

რეკომენდაცია 25 3.3.1.1. ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ სტუდენტთა სოციალური მხარდაჭერის პროგრამების სქემების შემუშავება. დასაკონკრეტებელია რა იგულისხმება? სტიპენდია? საერთო საცხოვრებელი თუ რა?
სტატუსი: არ არის გათვალისწინებული განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით ასრულებს მუშაობას უმაღლესი განათლების დაფინანსების ახალ მოდელზე. შესაბამისად, სოციალური მხარდაჭერის პროგრამების სქემები განახლების სტადიაშია და მოდელის დამტკიცების შემდეგ იქნება ცხადი რომელ კომპონენტებსა და რა კონკრეტულ მხარდამჭერ აქტივობებს ითვალისწინებს ახალი სქემა. შესრულების ანგარიშში დეტალურად იქნება აღწერილი აღნიშნული საკითხები.
რეკომენდაცია 26 3.3.1.7 - გადამუშავებულია და პილოტირებულია სტუდენტური სტიპენდიის სერვისი, სადაც გათვალისწინებულია ეთნიკური უმცირესობების საჭიროებები. რა საჭიროებები იგულისმხება? საორიენტაციო ბიუჯეტი?
სტატუსი: გათვალისწინებულია აღნიშნული სერვისის დანერგვა დაგეგმილია პროფესიული განათლების საფეხურზე. იგი დაეფუძნება თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების პროფესიული სტუდენტების საჭიროებების მოკვლევას. შეთავაზებული სერვისები შეიძლება ფარავდეს ტრანსპორტირების, საცხოვრისით უზრუნველყოფის, კვების, სტიპენდიის, ფსიქო-სოციალური და სხვა სერვისების შეთავაზებას, ინდივიდუალური საჭიროების შესაბამისად. აღნიშნულიდან გამომდინარე, ამ ეტაპზე სამინისტრო მოკლებულია შესაძლებლობას წარმოადგინოს აქტივობის დაზუსტებული ბიუჯეტი.
რეკომენდაცია 27 3.2.1.2. - მშობლიური ენის სახელმძღვანელოები რუსულ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენაზე 2024-ში 1-2 კლასებისთვის. არ ჩანს სხვა კლასების საკითხი. რეკომენდაცია: დაიწყოს სხვა კლასების სახელმძღვანელოების შედგენასა და გამოცემაზე მუშაობა.
სტატუსი: არ არის გათვალისწინებული სხვა კლასებისთვის მშობლიური ენის სახელმძღვანელოების შემუშავება დაიწყება წინამდებარე სამოქმედო გეგმის ვადის ამოწურვის შემდგომ - 2025 წლიდან. შესაბამისად, არ მოხვდა აღნიშნულ გეგმაში.
რეკომენდაცია 28 3.2.1.3. არაქართულენოვანი სკოლების/სექტორების საშუალო საფეხურზე (X, XI კლასები) ახლად გრიფირებულია სასკოლო სახელმძღვანელოების დანერგვა. სასურველია სახელმძღვანელოები დაკონკრეტდეს ან მიეთითოს, რომ სრულად იქნება უზრუნველყოფილი.

სტატუსი: არ არის გათვალისწინებული საფეხურზე გრიფირებული სახელმძღვანელოების დანერგვა ნიშნავს ამ საფეხურზე ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ ყველა საგანში სახელმძღვანელოების დანერგვას.
რეკომენდაცია 29 პროფესიული და უმაღლესი განათლების საკითხები უფრო მკაფიოდ გაიმიჯნოს გეგმაში.
სტატუსი: არ არის გათვალისწინებული აქტივობების დონეზე ნათლად არის გამიჯნული პროფესიული და უმაღლესი განათლების საკითხები. აქვე აღსანიშნავია, რომ მიუხედავად იმისა, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ განსახორციელებელი სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამა პროფესიული განათლების სისტემის ფარგლებში მუშავდება, აღნიშნული პროგრამის განხორციელება შეეძლება ყველა საგანმანათლებლო დაწესებულებას, როგორც ზოგადსაგანმანათლებლოს, ისე პროფესიულ საგანმანათლებლო და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს.
რეკომენდაცია 30 გეგმის მიხედვით 30 სკოლაში პროფესიული განათლება ინერგება, რაც ძალიან დადებითი ფაქტია. აღნიშნულის პარალელურად აუცილებელია ზრდასრულებისთვის პროფესიული განათლების (სხვადასხვა კონკრეტული ხელობები) ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის ხელშეწყობა (განსაკუთრებით სახელმწიფო ენაში დაბალი კომპეტენციის მქონე პირებისთვის) და სამოქმედო გეგმაში მკაფიოდ ასახვა.
სტატუსი: გათვალისწინებულია ერთი მხრივ, მიმდინარეობს ახალი საგანმანათლებლო დაწესებულებების მშენებლობა, მათ შორის მოცემულ სამოქმედო გეგმაშიც არის განსაზღვრული 3.3.1.10 აქტივობა, რომლის თანახმადაც პროფესიული განათლება 2024 წლისთვის ხელმისაწვდომი გახდება ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ სულ მცირე ერთ დამატებით მუნიციპალიტეტში. ამასთან, ხაზგასასმელია რომ მოცემული 30 სკოლა განახორციელებს არა მხოლოდ საკვალიფიკაციო პროგრამებს, არამედ მომზადება-გადამზადების პროგრამებს, რაც ზრდასრულთა საჭიროებების მიხედვით იქნება დაგეგმილი.
რეკომენდაცია 31 ეთნიკური უმცირესობების ენოვანი სკოლების პედაგოგებისთვის ჩატარდეს სემინარი-ტრენინგი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეების სწავლების, ქცევისა და სხვა აქტუალური საჭიროებების თაობაზე. *(სახალხო დამცველთან არსებული ეროვნულ უმცირესობათა საბჭო)*
სტატუსი: გათვალისწინებულია სამოქმედო გეგმის პროექტში განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გათვალისწინებული აქვს პედაგოგებისთვის ტრენინგების ჩატარება, მათ შორის მოიაზრება სპეცმასწავლებლები, ასევე აღნიშნული ტრენინგები ითვალისწინებს სსსმ მოსწავლეების ქცევის აქტუალურ საკითხებს.

რეკომენდაცია 32

4.1.2: - ზოგად საგანმანათლებლო დაწესებულებებში, სავალდებულო განათლების პროგრამებში ჩართული ბოშათა თემის წარმომადგენელი ბავშვები.

ე.წ. „ბოშური ცხოვრებით“ მცხოვრები ქურთულ ენაზე მოსაუბრე ბავშვების მიმართ რამე თუ იგეგმება? (სიდუხჭირეში ცხოვრობენ, თავს ქუჩაში მათხოვრობით ირჩენს ბევრი, ზოგჯერ თავს ესხმიან ტურისტებს).

რეკომენდაცია: შესწავლილ იქნას ე.წ. „ბოშური ცხოვრებით“ მცხოვრები ქურთულ ენაზე მოსაუბრე ბავშვების მდგომარეობა, საჭიროებები და მათ მიმართ განხორციელდეს საგანმანათლებლო, სოციალური და სხვა საჭირო პროგრამები.

სტატუსი: ნაწილობრივ გათვალისწინებულია

„სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის პროგრამის“ ფარგლებში ხორციელდება მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა, რომლის მიზანია მიუსაფარ ბავშვთა მიტოვების ან ოჯახისგან განცალკევების პრევენცია, ფსიქოლოგიური რეაბილიტაცია და ინტეგრაცია, ასევე უსაფრთხო საცხოვრებლით უზრუნველყოფა. პროგრამის ბენეფიციარები ძირითადად არიან აზერბაიჯანელი და ბოშა ეროვნების ქუჩაში მცხოვრები/მომუშავე ბავშვები. ქვეპროგრამა მოიცავს დღის ცენტრისა და თავშესაფრის მომსახურებას. ქვეპროგრამის ფარგლებში ბენეფიციარებთან მუშაობს მობილური ჯგუფი, რომელთა აქტივობები მოიცავს ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების იდენტიფიცირებას, მათთან კონტაქტის დამყარებას, მაიდენტიფიცირებელი დოკუმენტაციის მოძიება/მოწესრიგებას, ბავშვებისთვის ამბულატორიული ან სტაციონარული მომსახურების ორგანიზებას, ფსიქოლოგიურ მომსახურებას, ბიოლოგიურ ოჯახების მოძიებას, მათი სოციალური გარემოს შეფასებას და სხვა. სოციალური მუშაკის ხელშეწყობით ხდება ქუჩაში მცხოვრები/მომუშავე ბავშვების საგანმანათლებლო პროცესში ჩართვა. მათი სკოლაში პირველადი/ხელმეორედ რეგისტრაცია.

აღნიშნულის გათვალისწინებით, შესაძლებელია წარმოდგენილ სამოქმედო გეგმაში აქცენტი გაკეთდეს მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამიდან განათლების სისტემაში ინტეგრირებული ბავშვების მონაცემების შესახებ.

რეკომენდაცია 33

რეკომენდაცია: სასკოლო სახელმძღვანელოებში უფრო მკაფიოდ აისახოს საქართველოს ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების პოზიტიური წვლილი ქვეყნის ცხოვრებაში. აღნიშნული გრიფირების დროს გარკვეულწილად გათვალისწინებულია, მაგრამ სასურველია, რომ უფრო ფართოდ იყოს ასახული საქართველოს ეთნიკური მრავალფეროვნება სასკოლო სახელმძღვანელოებში.

სტატუსი: გათვალისწინებულია

აღნიშნულია სამოქმედო გეგმის პროექტში.

რეკომენდაცია 34

4.2.1.1. პროფესიული განათლების საფეხურზე კულტურული ცნობიერებისა და გამომხატველობის განვითარების ხელშეწყობის მიზნით პროგრამების შემუშავება.

სასურველია უფრო ნათლად გადმოიცეს შინაარსი.

სტატუსი: გათვალისწინებულია დაზუსტდა ჩანაწერი სამოქმედო გეგმის პროექტში. აქტივობის ფარგლებში იგულისხმება ექსტრაკურიკულური პროგრამები, რომლებიც იქნება დამატებითი საშუალება სტუდენტებისათვის რომ ჩაერთონ მრავალფეროვან აქტივობებში, რომელიც ფოკუსირებული იქნება კულტურული ცნობიერებისა და გამომხატველობის კომპეტენციების განვითარებაზე.
რეკომენდაცია 35 4.2.1.4. დმანისის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდებთან საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება სამოქალაქო თანასწორობისა და კულტურათაშორისი დიალოგის საკითხებზე. დმანისთან ერთად სხვა რეგიონებშიც შესაძლოა იყოს ინტერესი ამ მიმართულებით, განხორციელდეს სხვადასხვა აქტივობები.
სტატუსი: გათვალისწინებულია აღნიშნული საკითხები წარმოდგენილი აქვს სხვადსხვა მუნიციპალიტეტებსაც.
პრიორიტეტი 3. თანასწორობა, სამოქალაქო და პოლიტიკური მონაწილეობა
რეკომენდაცია 36 უმცირესობების პოლიტიკური მონაწილეობის გაძლიერების მიზნით სპეციალური მექანიზმებისა და მიდგომების შემუშავების აუცილებლობა.
სტატუსი: ნაწილობრივ გათვალისწინებულია ეთნიკური უმცირესობების პოლიტიკური ჩართულობის გაზრდის/გაუმჯობესების მიზნით მოქმედებს რიგი მექანიზმები და ინსტრუმენტები, მათ შორის: ეთნიკური უმცირესობების მშობლიურ ენებზე საშუალო განათლება, სპეციალური უმაღლესი განათლების პროგრამა (ე.წ. „1+4 პროგრამა“), სახელმწიფო ენის შემსწავლელი კურსები და პროგრამები, საჯარო სექტორში სტაჟირების პროგრამა, ინფორმირება/ცნობიერების ამაღლება ისეთ საკითხებსა და პროგრამებზე, როგორიცაა ადამიანის უფლებები, ანტიდისკრიმინაცია, სამოქალაქო თანასწორობა და ინტეგრაცია, ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაცია, დეზინფორმაცია, მედია წიგნიერება და სხვა). ასევე, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები მონაწილეობას იღებენ ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში (რეგიონულ ადმინისტრაციებთან არსებული საკონსულტაციო საბჭოები, მუნიციპალიტეტების მერებთან არსებული სამოქალაქო ჩართულობის საბჭოები). სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს აღნიშნული საბჭოების გაძლიერებას სხვადასხვხა შინაარსის მიზნობრივი ტრენინგებით, საბჭოს წევრების ცნობიერების ამაღლებასა და ინფორმირებულობის გაზრდას.
რეკომენდაცია 37 თვითმმართველობის სერვისის მიმწოდებელი ტერიტორიული და სხვა რელევანტური ორგანოების მიერ უმცირესობების ენაზე ინფორმაციის მიწოდების უზრუნველყოფა თარგმანების მასობრივი დანერგვით.

სტატუსი: გათვალისწინებულია ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთათვის ინფორმაციის მიწოდება მშობლიურ ენებზე და სხვადასხვა დოკუმენტის თარგმნა, ასახულია სამოქმედო გეგმის მთელ რიგ აქტივობებში.
რეკომენდაცია 38 სამოქმედო გეგმაში საუბარია ადგილობრივ დონეზე სამოქალაქო საკონსულტაციო საბჭოებში ეთნიკური უმცირესობების ჩართულობის გაზრდაზე. თუმცა, დოკუმენტი არაფერს ამბობს არადომინანტური ეთნიკური ჯგუფებისთვის აღმასრულებელ და საკანონმდებლო ორგანოებთან ეთნიკური უმცირესობების საკითხებზე საკონსულტაციო საბჭოების შექმნაზე, რომელიც FCNM-ით გარანტირებული ერთ-ერთი უფლებაა.
სტატუსი: არ არის გათვალისწინებული დამატებითი საკონსულტაციო მექანიზმის დანერგვის აუცილებლობა არსებულ ეტაპზე მთავრობის დონეზე არ არის აქტუალური. შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის კომპეტენციას წარმოადგენს ეთნიკური უმცირესობების მხარდაჭერა, სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის პოლიტიკის შემუშავება, იმპლემენტაცია და კოორდინაცია. აღნიშნულის ფარგლებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი მჭიდროდ თანამშრომლობს საკანონმდებლო ორგანოსთან, ასევე არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, სახალხო დამცველის აპარატთან, სახალხო დამცველთან არსებულ ეროვნულ უმცირესობათა საბჭოსთან, ექსპერტებთან, თემით დაინტერესებულ აქტორებთან, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებთან. ამასთანავე, სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სტრატეგიის ეფექტიანად განხორციელების მიზნით შექმნილ სამთავრობო კომისიის ფარგლებში ფუნქციონირებს საკონსულტაციო თემატური ჯგუფები (6 მიმართულებით), რომლის ფარგლებში მიმდინარეობს კონსულტაციები მოსაზრებების, რეკომენდაციების გაზიარება სამოქალაქო საზოგადობის აქტორებთან, ექსპერტებთან, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებთან.
რეკომენდაცია 39 პოლიტიკური მონაწილეობის გაზრდის საკითხზე, სამოქმედო გეგმა არაფერს ამბობს პასიურ საარჩევნო უფლების გაზრდაზე უმცირესობებს შორის (კვოტირება, თუ პოლიტიკური პარტიების ფინანსური მხარდაჭერის გაზრდა უმცირესობების საარჩევნო სიებში შეყვანის პროცესში).
სტატუსი: არ არის გათვალისწინებული წარმოდგენილი საკითხი სცდება სამოქმედო გეგმის განხორციელებაზე პასუხისმგებელი აქტორების კომპეტენციას.
რეკომენდაცია 40 სამოქმედო გეგმა შემოფარგლულია საუბნო საარჩევნო კომისიებში ეთნიკური უმცირესობების მონაწილეობის საკითხით, მაშინ როცა არაფერია ნათქვამი საოლქო და ცენტრალურ საარჩევნო კომისიებში ეთნიკური უმცირესობების მონაწილეობის საკითხზე.

სტატუსი: არ არის გათვალისწინებული
სამოქმედო გეგმის პროექტში აქცენტი გაკეთებულია ენობრივი ბარიერის დაძლევაზე, რაც გულისხმობს ამომრჩეველთა ინფორმირებასა და კენჭისყრაში დამოუკიდებელი მონაწილეობის ხელშეწყობას, აგრეთვე, საჭიროებიდან გამომდინარე, საუბნო საარჩევნო კომისიების წევრების მიერ ფუნქციების შესრულების მიზნით სახელმძღვანელოსა და ინსტრუქციის თარგმნას. გეგმის პროექტით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელებამ ხელი უნდა შეუწყოს ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში მცხოვრები აქტიური საარჩევნო უფლების მქონე მოქალაქეების დამოუკიდებლად მონაწილეობას არჩევნებში. რაც შეეხება ცენტრალური და საოლქო საარჩევნო კომისიების საქმიანობაში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა მონაწილეობის საკითხს, ორივე დონეზე, საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა დასაქმება ხორციელდება საქართველოს ორგანული კანონით - „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ დადგენილი წესით. ორივე დონეზე დასაქმებულ პირს მოეთხოვება საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერტიფიკატის ფლობა, რაც გულისხმობს სახელმწიფო ენის ცოდნას. შესაბამისად, ამ ნაწილში არ დგას ენობრივი ბარიერის პრობლემა და, ამდენად, არც სამოქმედო გეგმა მოიცავს შესაბამის აქტივობებს.

რეკომენდაცია 41
ამოცანა 7.1.-ის ქვეშ არაფერია ნახსენები უმრავლესობასთან მუშაობის სტრატეგიაზე, სადაც ეთნიკური მრავალფეროვნების შესახებ ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობის დამოკიდებულებები პოზიტიურად შეიცვლებოდა.

სტატუსი: არ არის გათვალისწინებული
აღნიშნული ამოცანის ქვეშ განსაზღვრული აქტივობები დიდ წილად ითვალისწინებს იმ პროგრამებისა და ღონისძიებების განხორციელებას, რაც აქტუალურია, როგორც ეთნიკური უმცირესობების, ისე უმრავლესობის წარმომადგენლებისთვის და მიმართულია ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებული რეგიონებში კონკრეტული სამიზნე ჯგუფების ჩართულობისკენ. აქტივობების ფორმულირებაში მკაფიოდ ჩანს, რომ სამიზნე აუდიტორიას წარმოადგენს ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებული რეგიონების მთელი მოსახლეობა.

რეკომენდაცია 42
არსებითია გეგმაში გათვალისწინებული იყოს, საჯარო მოხელეების, მათ შორის, ადგილობრივი თვითმმართველობის, სერვისის მიმწოდებელი ორგანოების თანამშრომლების თანასწორობისა და უმცირესობების უფლებების დაცვის საკითხებში გადამზადების სამუშაოები.

სტატუსი: გათვალისწინებულია. ასახულია სამოქმედო გეგმის პროექტში.

რეკომენდაცია 43
დაემატოს აქტივობა: ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა სახელმწიფო უწყებებში დასაქმების ახალი პროგრამების განხორციელება. (მიზანი 5, ამოცანა 5.1.)

(სახალხო დამცველის აპარატის შეფასებით, აღნიშნული ამოცანის შედეგის ინდიკატორები და შესაბამისი აქტივობა, მეტწილად, მხოლოდ ადგილობრივ დონეზე ჩართულობაზეა ორიენტირებული და დასახული მიზნის მისაღწევად საკმარისად ვერ ჩაითვლება.)

სტატუსი: არ არის გათვალისწინებული „1+4“ პროგრამა, ისევე, როგორც „1+4 სტაჟირების პროგრამა“, ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ მუნიციპალიტეტების დასაქმების სააგენტოებში ორენოვანი დასაქმების კონსულტანტების პოზიციის შემოღება მიზნად ისახავს სახელმწიფო უწყებებში დასაქმებისთვის ახალგაზრდების მომზადებასა და გაძლიერებას.
რეკომენდაცია 44 **აქტივობა 7.1.1.1 მოდიფიცირდეს** შემდეგნაირად: ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის შესახებ ტრენინგების ჩატარება სპეციალური პენიტენციური სამსახურის თანამშრომლებისთვის, სამედიცინო და სხვა სერვისების მიმწოდებელი პერსონალის, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების აღმზრდელებისთვის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მასწავლებლებისა და ჟურნალისტებისთვის (მიზანი 7, ამოცანა 7.1.).
სტატუსი: არ არის გათვალისწინებული აღნიშნული აქტივობის განმხორციელებელ უწყებად განსაზღვრულია იუსტიციის სამინისტრო. იუსტიციის სამინისტროს სამიზნე ჯგუფს არ წარმოადგენს რეკომენდაციაში დამატებული ჯგუფი (გარდა სპეციალური პენიტენციური სამსახურის თანამშრომლებისა). ამდენად, სხვა დარგობრივი უწყებების მიერ რეკომენდაციის გათვალისწინების შემთხვევაში, შესაბამისი შემსრულებელი უწყებები უნდა დაემატონ ამ აქტივობის განხორციელებაში.
პრიორიტეტი 4. სოციალური და ეკონომიკური ინტეგრაცია
რეკომენდაცია 45 ეთნიკური უმცირესობებისთვის სოფლის მეურნეობაში არსებული საჭიროებებისა (მაგ. სერვისებისა და პროგრამების ხელმისაწვდომობა, სოფლის მეურნეობის ინფრასტრუქტურის და ტექნოლოგიური და ინფორმაციული რესურსების ნაკლებობა) და გამოწვევების (მიწის გადანაწილებასთან და საკუთრების უფლების რეგისტრაციასთან დაკავშირებული სირთულეები) კვლევა და მათზე ორიენტირებული პროგრამების და რეფორმების ხედვების დანერგვა.
სტატუსი: არ არის გათვალისწინებული საქართველოს მოქალაქეობის/რეგისტრაციის მქონე ნებისმიერ დაინტერესებულ პირს, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ ინიცირებული პროგრამების/პროექტების კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში, შეუძლია განაცხადის შემოტანა და სახელმწიფოს მხარდაჭერით სარგებლობა. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ საქართველოს მოქალაქეობის/რეგისტრაციის მქონე ნებისმიერ დაინტერესებულ პირს მომსახურების მიღება შეუძლია როგორც ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტოს ცენტრალურ ოფისში, ასევე რეგიონულ სამსახურებსა და საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრებშიც (ყველა მუნიციპალიტეტში), სადაც ადგილობრივი თანამშრომლები ეთნიკურ უმცირესობას მიკუთვნებულ პოტენციურ ბენეფიციარებს უწევენ კონსულტაციას პროექტებთან/პროგრამებთან დაკავშირებით.
რეკომენდაცია 46 სამოქმედო გეგმაში აღწერილი აქტივობები შეხვედრების ჩატარების შესახებ საკმარისი არ არის. შესაბამისმა უწყებებმა უნდა დაიწყონ სოფლის მეურნეობის სერვისებისა და პროექტების ხელმისაწვდომობის და მათში ეთნიკური უმცირესობების მონაწილეობის შედეგების ეთნიკური მარკერებით დათვლა.

სტატუსი: არ არის გათვალისწინებული
სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის 2021-2030 წლების სახელმწიფო სტრატეგიის 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმის პროექტში, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს პასუხისმგებლობას მიკუთვნებული არის 2 აქტივობა. კერძოდ:

8.1.1.1. ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით მჭიდროდ დასახლებულ მუნიციპალიტეტებში ფერმერებთან საექსტენციო-საკონსულტაციო შეხვედრების ჩატარება

აქტივობის შედეგის ინდიკატორი:
2023 წელი - საექსტენციო და საკონსულტაციო მომსახურეობა გაწეულია 4 000 ფიზიკური და იურიდიული პირისთვის, სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლისა და კახეთის რეგიონებში 2024 წელი - საექსტენციო და საკონსულტაციო მომსახურეობა გაწეულია 4 500 ფიზიკური და იურიდიული პირისთვის, სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლისა და კახეთის რეგიონებში

8.1.1.2 ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება სოფლის მეურნეობის პროგრამებისა და სერვისების შესახებ

აქტივობის შედეგის ინდიკატორი:
2023წელი - ჩატარებულია 400 შეხვედრა; 2024 წელი - ჩატარებულია 500 შეხვედრა ზემოაღნიშნულ აქტივობებში მონაწილე პირები, თითქმის 100 %-მდე ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელია.

რეკომენდაცია 47
გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ საკუთარი სერვისების და პროგრამების შესახებ ინფორმაცია გადათარგმნოს უმცირესობების ენებზე და ხელმისაწვდომი გახადოს სახელმწიფო ენის არმცოდნე საქართველოს მოქალაქეებისთვის. თარგმანის პროცესის პარალელურად, უწყებებმა შეიმუშაონ სპეციალური სტრატეგია ეთნიკური უმცირესობების ინფორმირებულობის და მონაწილეობის გაზრდის ხელშეწყობისთვის.

სტატუსი: არ არის გათვალისწინებული
საქართველოს მოქალაქეობის/რეგისტრაციის მქონე ნებისმიერ დაინტერესებულ პირს მომსახურების მიღება შეუძლია როგორც ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტოს ცენტრალურ ოფისში, ასევე რეგიონულ სამსახურებსა და საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრებშიც (მუნიციპალიტეტში ადგილზე), სადაც ადგილობრივი თანამშრომლები ეთნიკურ უმცირესობას მიკუთვნებულ პოტენციურ ბენეფიციარებს უწევენ კონსულტაციას პროექტებთან/პროგრამებთან დაკავშირებით.

რეკომენდაცია 48
საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების 2021-2027 წლების სახელმწიფო სტრატეგია და შესაბამისი წლიური სამოქმედო გეგმები სამინისტრომ შეაფასოს მრავალფეროვნებისა და ინკლუზიურობის ლინზით და ამ დოკუმენტებში, ყოვლისმომცველი კვლევებისა და მონაწილეობითი, საკონსულტაციო პლატფორმების შექმნის გზით, გაითვალისწინოს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ფერმერების საჭიროებები.

სტატუსი: არ არის გათვალისწინებული
საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინიციატივით, ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ხელშეწყობით, საქართველოში სოფლის განვითარების ინსტიტუციური რეფორმის ფარგლებში შექმნილია სამოქალაქო კომიტეტი. ამ ინიციატივის მიზანია საჯარო და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლების ერთობლივი ჩართვა საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სტრატეგიის განხორციელებაში.
„სამოქალაქო კომიტეტი", აერთიანებს სოფლის მეურნეობისა და სოფლად განვითარების საკითხებზე მომუშავე პროფესიულ ასოციაციებს, სამოქალაქო ორგანიზაციებსა და ორგანიზაციათა გაერთიანებებს.
„სამოქალაქო კომიტეტი" წარმოადგენს სოფლის განვითარების უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს სათათბირო ორგანოს, სადაც ხდება სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სტრატეგიის განხორციელებისა და სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამების შესრულების პროგრესის შესახებ ინფორმაციის გაცნობა, განხილვა და შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება.

რეკომენდაცია 49
სამოქმედო გეგმა კონკრეტულად არ განსაზღვრავს, თუ რა სამუშაოების გატარებას აპირებს სახელმწიფო **ეთნიკური უმცირესობების საჯარო სამსახურებში დასაქმების გასაზრდელად** (მაგალითად, რეკრუტირების სისტემების დანერგვა, შესარჩევ პროცესში ეთნიკური უმცირესობების თემის ლიდერების ჩართვა, ენის კომპეტენციების დაწევა და პარალელურად თანამშრომლების აქტიური გადამზადება).

სტატუსი: არ არის გათვალისწინებული
სახელმწიფო მინისტრის აპარატის ინიციატივით, 2017 წლის დეკემბერში ცვლილება შევიდა „საჯარო დაწესებულებაში სტაჟირების გავლის წესისა და პირობების შესახებ სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის №410 დადგენილებაში. კერძოდ, განისაზღვრა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთათვის საჯარო უწყებებში სტაჟირების გავლის პროცედურები. განხორციელებული ცვლილებების თანახმად, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ სტუდენტებს, რომელთაც გავლილი აქვთ „ქართულ ენაში მომზადების სპეციალური საგანმანათლებლო პროგრამა" შესაძლებლობა მიეცათ საჯარო სტრუქტურებში სტაჟირების გავლის გზით მიიღონ სათანადო გამოცდილება და განივითარონ პროფესიული უნარ-ჩვევები, რაც ხელს შეუწყობს ახალგაზრდების ჩართულობასა და სამოქალაქო ინტეგრაციას.

რეკომენდაცია 50
სამოქმედო გეგმა საუბრობს წყლისა და გაზიფიცირების ინფრასტრუქტურის შექმნაზე, თუმცა გეგმაში არ არის დაზუსტებული მუნიციპალიტეტები და სოფლები, სადაც ამ სისტემების უზრუნველყოფა მოხდება.

სტატუსი: არ არის გათვალისწინებული
საქართველოს მთავრობის 2020 წლის 29 ოქტომბრის N2120 და 2021 წლის 28 სექტემბრის N1716 განკარგულებების დანართებით მოცემულია ის დასახლებული პუნქტები, რომელთა გაზიფიცირებაც განსაზღვრულია 2022-2024 წწ. გეგმით.

რეკომენდაცია 51

აქტივობა 8.2.1.11 მოდიფიცირდეს შემდეგნაირად: ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ მუნიციპალიტეტებში (საგარეჯო, ლაგოდეხი, თელავი, ახმეტა, ყვარელი) ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება. (მიზანი 8. ამოცანა 8.2.)

(სახალხო დამცველი მნიშვნელოვნად მიიჩნევს ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ თივში მცხოვრები ავარლების მწვავე ინფრასტრუქტურული პრობლემების ხაზგასმას, რომელთა გადაჭრაშიც მნიშვნელოვანი წვლილი შეიძლება შეიტანოს საკითხის სამოქმედო გეგმაში ასახვამ, რაც სხვა, სახელდებით მოხსენიებული მუნიციპალიტეტების ფონზე, ყვარლის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ეთნოსთა საჭიროებების გათვალისწინებასაც უზრუნველყოფს.)

სტატუსი: გათვალისწინებულია

რეკომენდაცია 52
აუცილებელია ქალთა ციფრული ტენდენციების უნარების გაუმჯობესების ხელშეწყობა.

სტატუსი: არ არის გათვალისწინებული
ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს ტექნოპარკები თბილისსა და რეგიონებში (კასპი, ბათუმი, თელავი, ახმეტა, გურჯაანი, ზუგდიდი და ოზურგეთი) წარმოადგენს ერთიან სივრცეს სტარტაპებისა და ინოვაციური მეწარმეების მხარდასაჭერად. ტექნოპარკები აღჭურვილია მაღალტექნოლოგიური სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიით (ფაბლაბით), საერთო სამუშაო, სატრენინგო და საკონფერენციო სივრცეებით. ტექნოპარკებში აქტიურად ხდება ინოვაციურ და ტექნოლოგიურ პროტოტიპებზე მუშაობა, სტარტაპ პრეაქსლერაციისა და ინკუბატორის ტიპის პროგრამები და ასევე, სხვადასხვა მიმართულებებით, მომავლის ტექნოლოგიურ სპეციალობებში საგანმანათლებლო ღონისძიებების (ტრენინგები, ვორქშოფები, და ა.შ.) ჩატარება, მათ შორის STEAM მიმართულებით. პროგრამები თანაბრადაა ხელმისაწვდომი ნებისმიერი ადამიანისთვის და განკუთვნილია სხვადასხვა ასაკის კატეგორიისთვის დაწყებული 8 წლიდან.
ჯამურად 2021-2022 წლის განმავლობაში ახმეტის, გურჯაანისა და თელავის ტექნოპარკებში ICT მოკლევადიანი ტრენინგები (პროგრმირება პითონით, Front-End Development-ის კურსი, ანიმაცია და პროგრამირება, ბლოკური პროგრამირება და ა.შ. სხვადასხვა მიმართულებები) გაიარა 200-მა ახალგაზრდამ (სკოლის მოსწავლე და სტუდენტი), მათ შორის 54% იყო ქალი, რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია. სააგენტო 2023 წელსაც აპირებს აღნიშნულ რეგიონებში იგივე ტიპის კურსების განხორციელებას დაინტერესებული პირებისთვის, სადაც ყველას აქვს თანაბარი შესაძლებლობა მიიღოს მონაწილეობა.

გარდა აღნიშნული მოკლევადიანი კურსებისა, სააგენტომ 2021-2022 წლებში ასევე განახორციელა 3000 IT სპეციალისტის გადამზადების პროგრამა, რომელიც გულისხმობს ბაზარზე არსებულ ყველაზე მოთხოვნად და მაღალანაზღაურებად პროფესიებში კვალიფიციური კადრების მომზადებას. გარდა პროფესიული ტრენინგისა, თითოეული მონაწილე გადიოდა დამატებით კურსს „პროდაქტ მენეჯმენტში“ და „ფრილანსერობაში“, საჭირო უნარების შესაძენად (soft skills), რათა შემდგომ შესაძლებლობა ქონოდათ ემუშავათ როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დამკვეთებთან/კომპანიებთან. ჯამში გადამზადებული 3 098

სტუდენტი, მათ შორის 152 მონაწილე იყო კახეთის, სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის რეგიონებიდან (კახეთი-27, სამცხე-ჯავახეთი-13, ქვემო ქართლი-112) და მათ შორის 30% იყო ქალი. ციფრული უნარების გაუმჯობესების ხელშესაწყობად სააგენტო მიმდინარე წელსაც გეგმავს IT სპეციალისტების მომზადების პროგრამას საწყისი ეტაპიდან 5000 IT სპეციალისტის მომზადების პროგრამის ფარგლებში, სადაც მთელი ქვეყნის მასშტაბით მსურველებს თანაბრად აქვთ შესაძლებლობა მონაწილეობის მიღების. ასევე, 2023 წელს, საერთაშორისო IT კომპანია Binance-ის მხარდაჭერით, 3000 IT სპეციალისტის გადამზადების პროგრამის გაგრძელების ფარგლებში 100 მონაწილე გადამზადდება 3 მიმართულებით (ბლოკჩეინის და ბიტკოინის საფუძვლები, ბლოკჩეინის დეველოპმენტი და კრიპტოვალუტის საფუძვლები), სადაც აქცენტი გაკეთდება ქალ მონაწილეებზე, რაც იმას ნიშნავს, რომ მონაწილეთა სულ მცირე 50% იქნება ქალი. აღნიშნულ პროგრამაში თანაბრად აქვს მონაწილეობის მიღების შანსი ყველა დაინტერესებულ პირს. ასევე 2023 წელს, ამერიკულ კუთხესთან თანამშრომლობით, თელავის ტექნოპარკში ჩატარდა ტრენინგი გოგონებისთვის, რომელიც ემსახურებოდა მათ მეტ ჩართულობას ტექნოლოგიების სფეროში. პროგრამაში მონაწილეობდა 15 გოგონა, მათ შეისწავლეს ვებ-გვერდების აწყობა wix-ის პლატფორმაზე.
პრიორიტეტი 5. კულტურათაშორისი დიალოგი
რეკომენდაცია 53 გეგმაში არაფერი წერია ეთნიკური უმცირესობების მიმართ გავრცელებული სტერეოტიპების დაძლევისკენ მიმართული სამუშაოების ჩატარებაზე ფართე საზოგადოებისთვის. ამგვარი კამპანიური სამუშაოების შესრულება სახელმწიფო მინისტრის აპარატსაც შეუძლია.
სტატუსი: არ არის გათვალისწინებული სამოქმედო გეგმაში ასახულია ღონისძიებები სამოქალქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო პოლიტიკის პოპულარიზაციისა და შესაბამისი სტრატეგიის პრიორიტეტული საკითხების შესახებ მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების მიზნით, მათ შორის თანასწორობის საკითხებზე.
რეკომენდაცია 54 მიზანი 9. კულტურათაშორისი დიალოგი, გავლენის ინდიკატორი 9.1: ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია; ამოცანის შედეგის ინდიკატორი 9.1.1: მოკვლეული, აღრიცხული/იდენტიფიცირებული, ერთიან საინფორმაციო ბაზაში განთავსებული, რეაბილიტირებული კულტურის ძეგლების რაოდენობა - მხოლოდ სტატუსის მინიჭება და რაოდენობრივი მაჩვენებელი ნაკლებად შეუწყობს ხელს კულტურული მემკვიდრეობის დაცვას; მნიშვნელოვანია არა მხოლოდ რაოდენობრივად აღირიცხოს ძეგლი, ასევე დაფიქსირდეს მისი მახასიათებლების მდგომარეობა, დაზიანების სტატუსი, რეაბილიტაციის საჭიროება და სხვა. - საძიებო სისტემაში აუცილებელია მოხდეს სისტემატიზაცია, მაგ. რელიგიური/ეთნიკური ნიშნით (ებრაული ძეგლები, მუსულმანური ძეგლები, გერმანული ძეგლები და სხვა). - აუცილებელია ქალაგეგმარებით რუქებზე აისახოს ძეგლის ზუსტი ადგილმდებარეობა და მასთან ერთად მოინიშნოს ობიექტის მიწის ნაკვეთის წითელი ხაზები.

- კულტურული მემკვიდრეობის უძრავი და მოძრავი ძეგლების აღდგენის სკითხის ხელშეწყობისთვის მნიშვნელოვანია განისაზღვროს იმ უწყებათა ჩართულობის განსაზღვრა, თუ ვის უნდა მიემართოს საკითხის გადასაჭრელად;

სტატუსი: ნაწილობრივ გათვალისწინებულია

- ობიექტისთვის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მინიჭებამდე ხდება მისი შესწავლა და სააღრიცხვო ბარათის მომზადება, რომელშიც დეტალურად აისახება ობიექტის შესახებ არსებული სრული ინფორმაცია. კულტურული მემკვიდრეობის პორტალზე - memkvidreoba.gov.ge განთავსებულია ძეგლის შესახებ შემდეგი სახის ინფორმაცია: სახელწოდება; ფოტო დოკუმენტაცია; სახეობა; ფუნქცია/ტიპი; პერიოდი; ადგილმდებარეობა (აღწერა და რუკა); აღწერა; სტატუსი; კატეგორია.
- რელიგიური კუთვნილების და ეთნიკური ნიშნის შესახებ ინფორმაცია მითითებულია კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის აღწერაში და შესაბამისი ინფორმაცია განთავსებულია კულტურული მემკვიდრეობის პორტალზე.
- სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო არ ადგენს ქალაქგეგმარებით რუქებს.
- მოქმედი კანონმდებლობით კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მოვლა-პატრონობა ეკისრება სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსა და თვითმმართველ ერთეულებს.

რეკომენდაცია 55

- მხოლოდ ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ მრავალრიცხოვან რეგიონებზე არ უნდა იყოს გათვალისწინებული ხელშეწყობა. მნიშვნელოვანია სხვა რეგიონებში არსებული მცირერიცხოვანი ჯგუფების კულტურული მემკვიდრეობაც (მაგალითად: ებრაული მემკვიდრეობა-ონი,ახალციხე, ლაილაში,ბანძა,ბათუმი და სხვა).
- ახალციხეში მოგვარდეს მეორე ძველი სინაგოგის რეაბილიტაციისა და რესტიტუციის საკითხი, შენობის აღდგენა-რესტავრაციისთვის ჩატარდეს ტექნიკური საპროექტო სამუშაოები;
- მნიშვნელოვანია ახალციხის ებრაული სასაფლაოს დაცულობა/რეაბილიტაციაც, რადგან იქ არსებული საფლავების უმეტესი ნაწილი კულტურული მემკვიდრეობის მცირე ფორმებია;
- გაკეთდეს წითელი ხაზები რელიგიურ/ეთნიკურ უმცირესობათა საკულტო ნაგებობების და სასაფლაოების მიწის ტერიტორიაზე მათი დაცვის მიზნით; გზებზე დატანილ იქნას ეთნიკურ/რელიგიურ უმცირესობათა საკულტო ნაგებობების საჩვენებელი აბრები და ისრები. ასევე, შესაძლებელია, გაკეთდეს მემორიალური დაფები ეთნიკურ/რელიგიურ უმცირესობათა გამოჩენილ წარმომადგენელთა სახლებზე.

სტატუსი: არ არის გათვალისწინებული

სამოქმედო გეგმის სტრატეგიის მიზნებს სცდება კონკრეტულ ობიექტებთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა.

წითელი ხაზების დადგენა ხდება ტერიტორიების საჯარო რეესტრში რეგისტრაციისას, რასაც არ ახორციელებს სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო.